სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

08 ოქტომბერი 2024

N 21/10451

შპს „ზეპლასტი 2024“-ს
ელ. ფოსტა: ltd.zeplasti-2024@gmail.com

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

ასლი: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

სააგენტომ განიხილა თქვენი №9276 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ზესტაფონში, ჭანტურიას ქ. №2-ში ნარჩენების აღდგენის საწარმოს ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოში ხორციელდება პოლიეთილენის ფირების და სხვადასხვა სახის პოლიეთილენის პარკების წარმოება, რისთვისაც ნედლეულად გამოიყენება წელიწადში 200 ტონა პირველადი პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის გრანულები, ასევე, პროდუქციის წარმოების შედეგად მიღებული დეფექტიანი პარკები და საჭრელ დაზგაზე პარკების დაჭრის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენი (1 600 კგ/წელ). შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის საქმიანობა არ გულისხმობს საწარმოში ნარჩენების შეტანას და გრანულებიდან პოლიეთილენის პარკების წარმოების პროცესში მიღებული ნარჩენი კვლავ ბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში, აღნიშნული საქმიანობა არ წარმოადგენს ნარჩენების აღდგენას და არ საჭიროებს სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებას.

დამატებით გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წუნდებული პროდუქციის კოდი არ შეესაბამება დოკუმენტში მოცემულ საქმიანობას. შესაბამისად, ნარჩენის კლასიფიკაცია უნდა განხორციელდეს „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილების მიხედვით;
- სკრინინგის განცხადებაში, ისევე როგორც საქმიანობის განხორციელების დროს გათვალისწინებული უნდა იქნას „პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №472 დადგენილების მოთხოვნები;
- ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიშის თავში მოცემული არ არის საწარმოს ტექნოლოგიურ პროცესში გათვალისწინებული ყველა გაფრქვევის წყარო;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე უახლოეს მოსახლესთან მოსალოდნელი ხმაურის გაანგარიშების შედეგები;
- სკრინინგის განცხადებაზე თანდართულ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიაში გაგზავნილ წერილში, შეცდომითაა მითითებული „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-7 პუნქტის 7.6 ქვეპუნქტი, რაც საჭიროებს კორექტირებას. ამასთან, დოკუმენტს არ ერთვის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის 4^1 ნაწილით გათვალისწინებული შესაბამისი მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის

ფუნქციური ზონის/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ, ამ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის არსებობის შემთხვევაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო წყვეტს წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაზე ადმინისტრაციულ წარმოებას.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/10451-21-2-202410081435

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE